

ამერიკის ბიზნესის აკადემია



დებულება

დამტკიცებულია
ბრძ. N2/31, 27.05.2013

თბილისი
2013

პრეამბულა

წინამდებარე დებულებააწესრიგებსამერიკის ბიზნესის აკადემიის (შემდგომში „აკადემია“) ფუნქციონირებას, განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართებებს, მათი უფლება-მოვალეობების წესებსა და პრინციპებს.

დებულებასამტკიცებსაკადემიის დირექტორი.

მუხლი 1. აკადემიისსაქმიანობისსამართლებრივისაფუძვლები

1. ამერიკის ბიზნესისაკადემია(შემდგომში „აკადემია“) არის უმაღლესი აკადემიური განათლების ავტონომიური საგანმანათლებლო დაწესებულება.მისისაქმიანობისსამართლებრივისაფუძვლებსწარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია,საქართველოსკანონები “უმაღლესიგანათლებისშესახებ” და “მეწარმეთაშესახებ”, საქართველოსსამოქალაქო, საგადასახადოდაშრომისკანონთაკოდექსები, საქართველოსგანათლებისადამცნიერებისსამინისტროს დადგენილებები, ინსტრუქციები და კანონქვემდებარეაქტები, აკადემიის წესდება.

მუხლი 2. საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივიფორმა

1. აკადემია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ისწრავისუმაღლესიგანათლებისევროპულისტანდარტებისადასივრცისაკენ, რომელიცემყარებასამპრინციპს:აკადემიურთავისუფლებას;სინდისისთავისუფლებას და არჩევანისთავისუფლებას.ესპრინციპებიურთიერთშექცევადია, გამომდინარეობსერთმანეთისაგანდაგანაპირობებსერთმანეთს.

მუხლი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეა - კოლეჯი.

მუხლი 4. აკადემიისმისია

აკადემიისმისიაა აღზარდოს ქართული დამსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი ერთგული,დემოკრატიისადაჰუმანიზმისიდეალებზეორიენტირებული, მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული თვითშეგნების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რომლებიც დასაქმების მხრივ ადეკვატური იქნებიან საქართველოსა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

მისიის განსახორციელებლად აკადემია წლების განმავლობაში ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რაც ხდება მატერიალური და აკადემიური რესურსების ოპტიმალური და მიზანმიმართული გამოყენებით.

მუხლი 5. აკადემიისძირითადიმიზნები

1. აკადემიის ძირითადი მიზნებია:

- ქართული დამსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტიაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელიც ღრმა პროფესიული უნარ-ჩვევების გარდა ფლობენ ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებს, იცნობენ და პატივს სცემენ მშობლიური და სხვა ერების კულტურას;
- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- აკადემიის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება;
- სტუდენტთა თვითშემოქმედების ხელშეწყობა, რომელიც გამოიხატება მათი ჩართულობით სამეცნიერო კონფერენციებში, სპორტულ და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში.

2. ამ მიზნების მისაღწევად აკადემია უზრუნველყოფს:

- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას;
- სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულყოფილებიან მონაწილეობას;
- აკადემიის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას;
- აკადემიაში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;
- ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;
- აკადემიაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას;
- სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიის მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

3. დასახული მიზნების მისაღწევად აკადემია თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ სუბიექტებთან.

მუხლი 6. აკადემიის ძირითადი ამოცანები

1. აკადემიის ძირითადი ამოცანებია:

- გამართული სასწავლო პროცესის ორგანიზების უზრუნველყოფა; მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის განვითარება; დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- მომავალში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, ახალი სპეციალობების დამატება და ახალი ფაკულტეტების შექმნა;
- აკადემიის სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის მუშაკთა მობილურობის ხელშეწყობა;
- მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მოზიდვა და მათი ჩართვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებში; საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებადი მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და რეალიზაცია, მუდმივი ზრუნვა მათი განახლებისათვის;
- საგანმანათლებლო სისტემისა და კურსდამთავრებულთა მონიტორინგის სისტემის განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესების მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო უზრუნველყოფის სრულყოფა;
- აკადემიის თანამშრომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის სათანადო პირობებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის სრულყოფა;
- სტუდენტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და გამოცდილების მიღების მიზნით მჭიდრო კავშირების დამყარება ცალკეულ პროფესიულ კავშირებთან, საწარმოებთან, ფირმებთან და საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებთან;
- სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზება.

2. აკადემიის საქმიანობა ორიენტირებულია განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაზე, როგორცაა: პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის მუდმივი განახლება, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განახლება, ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მატერიალ-ტექნიკური ბაზის მუდმივი სრულყოფა და ა.შ.

მუხლი 7. აკადემიის საქმიანობის სფერო

1. აკადემია ახორციელებს უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზაცია და სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტებით, რეკომენდაციებისა და სწავლა/სწავლების კრიტერიუმების და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ქმნის სასწავლო პროგრამებს;

3. უზრუნველყოფს სტუდენტთა საინფორმაციო მომსახურებას;

4. სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს დამატებითი სასწავლო კურსებისა და სემინარების ორგანიზებას;
5. ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის და ტრენინგების ორგანიზებას;
6. უზრუნველყოფს წარჩინებულ სტუდენტთა გაგზავნას კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიზნით;
7. აწყობს სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით;
8. ქმნის საბიბლიოთეკო ფონდს და ზრუნავს მის განახლებაზე;
9. აკადემია უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც დასაშვებია კანონით და ემსახურება აკადემიის ინტერესებს.

მუხლი 8. სწავლების ენა

1. აკადემიაში სწავლების ენა არის ქართული;
2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით დასაშვებია ინდივიდუალურისასწავლოკურსების უცხოურ ენაზე შეთავაზება.

მუხლი 9. აკადემიის შემოსავლების წყარო

1. აკადემიის ძირითადი შემოსავლების წყაროა სტუდენტთა მონატანები (სწავლის საფასური).
2. აკადემიის შემოსავლების წყარო ასევე შეიძლება იყოს: კერძო და იურიდიულ პირებზე გაწეული სამეცნიერო-პრაქტიკული მომსახურებისათვის მიღებული თანხები, სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემონატანები.

მუხლი 10. აკადემიის მართვის პრინციპები

1. აკადემიის დირექტორის ბრძანებებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშების საჯაროება და მათი ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის;
2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურითავისუფლება;
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში დამართვის პროცესში;
4. აკადემიაში არჩევნების პროცესის სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსების საჯაროობა;
5. თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

მუხლი 11. აკადემიის სტრუქტურა

1. აკადემიის მართვის ორგანიზაციული სისტემა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:
 - აკადემიის დირექტორი;
 - აკადემიური საბჭო;
 - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
 - ფაკულტეტი;

- კანცელარიისა და კადრების სამსახური;
- ბიბლიოთეკა;
- საინფორმაციო სამსახური;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
- პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრი;
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;
- საფინანსო სამსახური;
- იურიდიული სამსახური
- სტუდენტური თვითმმართველობა;
- აკადემიური პერსონალი.

მუხლი 12. აკადემიის დირექტორი

1. აკადემიის დირექტორი არის დაწესებულების მმართველი პირი, რომელიც აკადემიას წარმოადგენს ქვეყნის შიგნითა და გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები;
2. დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურად მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
3. შესაბამისი ბრძანებით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს თანამშრომლებს, დებს მათ თანშრომით ხელშეკრულებებს საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად;
4. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს და პროგრამების აღწერილობას (კატალოგს);
5. ამტკიცებს დაწესებულების განვითარების ერთწლიან და გრძელვადიან (ექვსწლიან) სტრატეგიულ გეგმებს.
6. დირექტორის უფლება-მოვალეობები:
 - დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ-ადმინისტრაციულ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა აკადემიის ყველა რგოლის, თანამშრომლისა და სტუდენტისათვის;
 - დირექტორი ნიშნავს და მასზე დაკისრებული მოვალეობების ნაწილობრივ ან მთლიანად შეუსრულებლობის შემთხვევაში დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებს აკადემიის ნებისმიერ თანამშრომელს;
 - ქმნის და აუქმებს დროებით და მუდმივ მოქმედ კომისიებს;
 - ნიშნავს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს;
 - მართავს აკადემიის სასწავლო პროცესს;
 - ადასტურებს და გასცემს აკადემიის დამთავრების დამადასტურებელ დიპლომს;
 - ადასტურებს და გასცემს საბუთებს სასწავლო კურსების დამთავრების შესახებ;
 - ადასტურებს აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
 - მხოლოდ დირექტორის თანხმობით დაიშვება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოკვლევის, გამოძიების და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კანონით განსაზღვრულ მოქმედებათა ჩატარება;
 - დირექტორი მუდმივად ზრუნავს სწავლისა და სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის, საჭირო პირობებს ქმნის მაღალი აკადემიური ხარისხის უზრუნველსაყოფად;
 - თავისი კომპეტენციის ფარგლებში დებს გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს, წყვეტს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს;

- დებს ხელშეკრულებებს აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან;
 - დირექტორს განსახილველად გადაეცემა დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია ზემდგომი დაწესებულებებიდან, შეიცავენ ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის პრინციპულ საკითხებზე და რომელთა შესრულება მოითხოვს დირექტორის გადაწყვეტილებას;
7. დირექტორის ვალდებულებები:
- დირექტორი პასუხისმგებელია აკადემიის კომერციული, სამეურნეო და საგანმანათლებლო საქმიანობის საბოლოო შედეგებზე;
 - დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება მისივე ბრძანებით ეკისრება დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში;
 - დირექტორი ახორციელებს კანონმდებლობით, აკადემიის წესდებითა და წინამდებარე დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 13. აკადემიური საბჭო

1. ამერიკის ბიზნესის აკადემიის აკადემიურისაბჭო (შემდეგში – „აკადემიურისაბჭო“) არის აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შექმნილია აკადემიის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვის ხელშესაწყობისათვის. განსაზღვრავს აკადემიის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, უმაღლესი განათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას და ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
2. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამერიკის ბიზნესის აკადემიის აკადემიური საბჭოს დებულებით.

მუხლი 14. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

1. დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
2. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დირექტორის მოვალეობას;
3. უზრუნველყოფს აკადემიაში სასწავლო პროცესის ორგანიზებას და მონიტორინგს;
4. ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების შემუშავებით;
5. მონაწილეობს კადრების შერჩევის პროცესში;
6. უფლებამოსილია წარმოადგინოს აკადემია მესამე პირებთან ურთიერთობებში დირექტორის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
7. ამყარებს ურთიერთობას პარტნიორ ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან, უზრუნველყოფს მათ მაღალ ჩართულობას სასწავლო პროგრამების შედგენაში და პრაქტიკის ორგანიზებაში;

8. ხელს უწყობს აკადემიაში სასწავლო პროცესში ხარისხის შემოწმების გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვას;
9. ითანხმებს და ამტკიცებს ლექცია/სემინარების განრიგს;
10. ფაკულტეტის დეკანთან და საგნის პროფესორ-მასწავლებლებთან ათანხმებს შუალედური გამოცდების, ფინალური გამოცდების, გაცდენილი ლექციებისა და გამოცდების აღდგენის გრაფიკს, ტექნიკურად აფორმებს მონაცემებს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;
11. აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან ცალკეული სასწავლო პროექტების მოსაზიდად და უზრუნველყოფს აკადემიის ბაზაზე მათ განხორციელებას;
12. პერიოდულად აწყობს შეხვედრას პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
13. უზრუნველყოფს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობას სხვადასხვა სემინარებსა და ტრენინგებში;
14. ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

მუხლი 15. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასებისათვის იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვით;
 - უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას;
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღგენს სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმებს; მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომს ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც ითვალისწინებს ციკლს - „დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- განავითარე“;
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება სამსახურის დებულებით.

მუხლი 16. ფაკულტეტი

1. ფაკულტეტიარის აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული;
2. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. დეკანი უშუალოდახორციელებს სწავლისა და სწავლების პროცესს აკადემიის მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად;

4. ფაკულტეტი თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის დებულებით, რომელიც განსაზღვრავს ფაკულტეტის მიზნებს, ამოცანებს, არეგულირებს მის სტრუქტურას, ფუნქციას და უფლება-მოვალეობას.

მუხლი 17. კანცელარიისა და კადრების სამსახური

1. კანცელარიისა და კადრების სამსახური არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების ორგანიზებისა და შემუშავების, შენახვისა და გამოყენების წესებს, აკადემიაში დასაქმებულ პირთა პირადი საქმეების ორგანიზებას, არქივის და საარქივო მასალის წარმოების წესს;

2. კანცელარიისა და კადრების სამსახურს ხელმძღვანელობს კანცელარიისა და კადრების სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;

3. კანცელარიისა და კადრების სამსახურში საქმისწარმოება ხორციელდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის“ შესაბამისად.

მუხლი 18. ბიბლიოთეკა

1. აკადემიის ბიბლიოთეკარის აკადემიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისა და აკადემიის აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის;

2. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;

3. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა

- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესების ხელშეწყობა;

- საქართველოში მოქმედი ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

4. ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციაა

- საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება სასწავლო, მეცნიერული და კულტურული ღირებულების მქონე ქართული და უცხოური გამოცემებით. მათი დაცვა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

5. აკადემიის ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს აკადემიის „ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“.

მუხლი 19. საინფორმაციო სამსახური

1. საინფორმაციო სამსახური არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული;

2. საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;

3. საინფორმაციო სამსახურის უფროსი:

- ზრუნავს აკადემიის კომპიუტერული ტექნიკის და ქსელების გამართულ მუშაობაზე;

- პასუხისმგებელია შიდა ქსელისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობასა და პროგრამული სისტემების სრულყოფაზე;
- უზრუნველყოფს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან ინფორმაციის დროულად შეგროვება-დამუშავებას და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებას;
- უზრუნველყოფს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის წარმოებას;
- უზრუნველყოფს ვებგვერდის სისტემატურ განახლებას.

მუხლი 20. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს;
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. სამსახური ფუნქციონირებს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და ანგარიშვალდებულია აკადემიის დირექტორის წინაშე;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
 - ახდენს სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციას;
 - ამყარებს ურთიერთობებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;
 - თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 - კოორდინაციას უწევს პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლისა და ერთობლივი აკადემიური პროგრამების დანერგვასა და განხორციელებას;
 - უზრუნველყოფს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას აკადემიის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
 - კოორდინაციას უწევს სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, თანამშრომლობის, სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებების საჯაროობას;
 - ზრუნავს საერთაშორისო პროექტების მოძიებასა და მასში აკადემიის ჩართულობაზე;
 - მართავს პრესკონფერენციებისა და სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 21. პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრი

1. პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრი არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული;
2. პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრის მიზანია, განახორციელოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ხელშეწყობა და გასცეს შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი სხვადასხვა სპეციალობებში;
4. პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ცენტრის დებულების შესაბამისად.

მუხლი 22. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

1. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს და სამედიცინო მომსახურების პუნქტს;
2. სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია დაცვის თანამშრომელი და ექიმი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიის ტერიტორიაზე შექმნას უსაფრთხო გარემო სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ადმინისტრაციისა და სხვა პროცესში ჩართული პირებისათვის;
4. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია აკადემიის ქონების დაცვაზე;
5. ექიმი თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აკადემიაში პირველად სამედიცინომომსახურეობას;
6. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და სამედიცინო მომსახურეობის პუნქტი თავის საქმიანობას წარმართავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულების და მექანიზმების“ შესაბამისად.

მუხლი 23. საფინანსო სამსახური

1. საფინანსო სამსახური არის აკადემიის სტრუქტურული ერთეული;
2. საფინანსო სამსახურს ხელმძღვანელობს ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. საფინანსო განყოფილება სევალებაა წარმოოს:
 - აკადემიაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ბუღალტრული აღრიცხვა;
 - აკადემიაში საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა;
 - შეადგინოს წლიური ბიუჯეტი, აკონტროლოს მისი შესრულება, აწარმოოს მისი კორექცია;
 - მონაწილეობა მიიღოს ფასწარმოქმნის პროცესში;
 - ანგარიშსწორება სახელმწიფოსთან, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, დაწესებულების აკადემიურ პერსონალთან და მასწავლებლებთან, ანუ გადაიხადოს გადასახადები და გასცეს ხელფასები;
 - ყოველი თვის ბოლოს წარადგინოს შემაჯამებელი დასკვნა აკადემიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
 - შესყიდვების საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროს და დირექტორს მოახსენოს მათი ფინანსური მიზანშეწონილება;
 - უზრუნველყოს ყველა სახის კომუნალური გადასახადის ვალდებულებათა დროული გადარიცხვა;
 - მიაწოდოს დირექტორს ფინანსური და აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების სია;
 - სასწავლო წლის ფინანსურ შედეგების მიხედვით სრული ინფორმაცია მიწოდოს დირექტორს;
 - შეადგინოს ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ბალანსი და წარუდგინოს საგადასახადო და მაკონტროლებელ ორგანოებს;
 - მონაწილეობა მიიღოს პროგრამის ფინანსური გეგმის შედგენაში.

მუხლი 24. იურიდიული სამსახური

1. იურიდიული სამსახური წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს;
2. იურიდიულ სამსახურს ხელმძღვანელობს იურისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი;
3. იურიდიული სამსახური:
 - უზრუნველყოფს აკადემიაში მიმდინარე პროცესების სამართლებრივ რეგულირებას და აკადემიის სამართლებრივი აქტების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან;
 - წარმოადგენს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, როგორც მოსარჩელის, მოპასუხის და მესამე პირის სახით;
 - თავის კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს აკადემიის თანამშრომელთა და სტუდენტთა განცხადებებს/საჩივრებს;
 - უზრუნველყოფს აკადემიის სარგებლობაში არსებული ქონების გადაცემასთან დაკავშირებული საიჯარო, შრომითი, სასწავლო და სხვა ტიპის ხელშეკრულებების მომზადებას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მუხლი 25. სტუდენტური თვითმმართველობა

1. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს ღია კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეულ სტუდენტურ მმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას და მოქმედებს აღნიშნული დებულების შესაბამისად;
2. სტუდენტური თვითმმართველობა მონაწილეობას იღებს პროგრამების შემუშავება/დახვეწაში;
3. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს თავისი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს აკადემიის დირექტორი.

მუხლი 26. აკადემიური პერსონალი

1. აკადემიური პერსონალი არის აკადემიის ძირითადი რგოლი, რომელიც აერთიანებს პროფესორთა შემადგენლობას: სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი;
2. სრული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
3. ასოცირებული პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
4. ასისტენტ-პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობებში;

5. აკადემიური თანამდებობა გულისხმობს პირის აკადემიური დამეცნიერული მიღწევების აღიარებას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკადემიის საგანმანათლებლო და კვლევითი ამოცანების განხორციელების საქმეში;
6. აკადემია შეიმუშავებს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების დებულებას, რომლის შესაბამისად, ღია კონკურსის წესით აირჩევა აკადემიური პერსონალი.

მუხლი 27. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

1. აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს აკადემიისა და ფაკულტეტის მართვაშის საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის დებულების შესაბამისად;
- მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში;
- აკადემიის მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პოლიტიკის და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
- ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს სასწავლო მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროექტებში, როგორც აკადემიის ფარგლებში, ისე მის გარეთ;
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულის ხვა უფლება მოსილება.

2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

- დაიცვას აკადემიის მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- შეასრულოს აკადემიისა და ფაკულტეტის მმართველობითი ორგანოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილებები;
- დაიცვას ეთიკის ნორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და მეცნიერულ სრულყოფაზე;
- სასწავლო პროცესში გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები;
- იზრუნოს განსაკუთრებული უნარის მქონე სტუდენტთა გამოვლენის და განვითარების ხელშეწყობაზე;
- შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- აიღოს პასუხისმგებლობა კონკრეტულ სასწავლო პროგრამების განხორციელების ხარისხზე.

3. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები

- აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება კონკურსის შედეგების მიხედვით;
- კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაუფორმდებათ შრომითი ხელშეკრულებები;
- აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დატვირთვა რეგულირდება აკადემიის დირექტორის ბრძნებით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

- პირადიგანცხადება;
- კონკურსის ვადის ამოწურვა;
- წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ეტიკისკოდექსისადადისციპლინურიპასუხისმგებლობისნორმებისუხეშიანსისტემატურიდარღვევა;
- შრომითიხელშეკრულებითგათვალისწინებულიპირობებისდარღვევა;
- კანონმდებლობითგანსაზღვრულისხვაშემთხვევები.

მუხლი 28. მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი

1. აკადემიის მოწვეულ სპეციალისტთა/მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და გამოცდილების მქონე პირი, რომელიც უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;
2. აკადემიაში მოწვეული სპეციალისტის/მასწავლებლის მიღება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციით აკადემიის დირექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 29. მოწვეულ სპეციალისტთა/მასწავლებელთა უფლებები და მოვალეობები

1. მოწვეულ სპეციალისტს/ მასწავლებელს უფლება აქვს:

- გაუძღვეს სალექციო, სასემინარო, პრაქტიკულსადაღაბორატორიულმეცადინეობებს, ჩაატაროსინდივიდუალურიმუშაობადაკონსულტაციები;
- საკუთარიკომპეტენციისფარგლებშიდამოუკიდებლადშეაფასოსსტუდენტისწავლისშედეგები;
- ადმინისტრაციისაგანმოითხოვოსმუშაობისსათანადოპირობებისშექმნადახელშეკრულებითგანსაზღვრულივალდებულებებისშესრულება;
- მონაწილეობამიიღოსპროფესიულიგანვითარებისადასხვასახისპროგრამებშიროგორცაკადემიისფარგლებში, ისემისგარეთ.

2. მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი ვალდებულია:

- დაიცვასაკადემიის დებულებითადასხვამარეგულირებელიაქტებითგათვალისწინებულიმოთხოვნები;
- შეასრულოსაკადემიისადაფაკულტეტისმმართველობითიორგანოებისადაადმინისტრაციისშიერმიღებული კანონიერიგადაწყვეტილებები;
- დაიცვასპედაგოგიურიდაკოლეგიალურიეთიკისნორმები;
- იზრუნოსსაკუთარპროფესიულგანვითარებაზე;
- სასწავლოპროცესშიგამოიყენოსთანამედროვე ტექნოლოგიები;
- მონაწილეობამიიღოსსტუდენტთამხარდაჭერისპროგრამებში;
- შეასრულოსშრომითიხელშეკრულებითგანსაზღვრულივალდებულებები;
- მასწავლებლები, მინიჭებულიკომპეტენციისფარგლებში, სრულადარიანპასუხისმგებელნიგანსახორციელებელი საქმიანობისხარისხზე.

3. მოწვეულ სპეციალისტთა/მასწავლებელთა შრომითი ურთიერთობები

- აკადემიაში მოწვეულ სპეციალისტთა/მასწავლებელთა თანამდებობაზე მიღება ხდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობებით;
- მოწვეულ სპეციალისტთან/მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

4. მოწვეულ სპეციალისტთა/მასწავლებელთა თანამდებობიდან გათავისუფლება

აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველებია:

- პირადი განცხადება;
- შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა;
- წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ეთიკის კოდექსის ადადის ციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეშიანის სტემატური დარღვევა;
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 30. სტუდენტი

1. სტუდენტის უფლებები

სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს კვლევაში;
- გ) თანაბარ პირობებში ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) არჩევნების საფუძველზე არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში;
- ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას გადაიტანოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება ამ პროგრამაზე;
- თ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- ი) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- კ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ლ) განახორციელოს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

2. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების

გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ უნდა ინახებოდეს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას აკადემიის ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

3. აკადემიას ეკრძალება საკუთარი უფლებამოსილებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზურის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

4. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება;

5. დისციპლინური გადაცდომის დროს სტუდენტს უფლება აქვს:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს აკადემიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ.

6. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

7. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 31. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია აკადემიის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, აკადემიის დებულებითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი რეგულაციები.

მუხლი 32. ეთიკის კოდექსი

სტუდენტთა ეთიკის კოდექსი

1. სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები;

2. სტუდენტის მხრივ ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას და დგენილი წესით;

3. სტუდენტისთვის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელისშემლა (ლექციაზე დადერეფანში ხმაური, ლექციაზე მობილური ტელეფონით სარგებლობა და სხვა);

ბ) თამბაქოს მოწევა აკადემიის შენობაში;

გ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების აკადემიის შენობაში და აკადემიის ტერიტორიაზე შემოტანა, გავრცელება და/ან მოხმარება;

დ) აკადემიის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული და გასართობი თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;

ე) ინვენტარი დაზიანება: მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება;

ვ) აკადემიის ტერიტორიის დანაგვიანება;

ზ) ბილწის ტყვაობა;

თ) ფეთქებადი და აალებადი ნივთების აკადემიის შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

ი) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვას ტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, აგრეთვე მესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულის პეციალისტების მიმართ.

კ) აკადემიის ინტერნეტის რესურსების არადანიშნულებით გამოყენება;

მ) პლაგიატი (სხვის საავტორო დამოძღვრული ნაშრომების მთლიან ან ნაწილობრივ მითვისება, რაც ნიშნავს სხვის ინტელექტუალურ შემოქმედებითის საქმიანობის შედეგად აცემილი ნაწარმოების ან გამოგონების წყაროზე დაავტორის მიუთითებლად გამოყენებას საკუთარ სახელით);

აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ეთიკის კოდექსი

1. აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ვალდებულია დაცვა ეთიკის ნორმები;

2. ეთიკის ნორმების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას და დგენილი წესით;

3. აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება:

ა)

აკადემიის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსის აქციე ლიგანურ ჩველად მისი ჩადენის ადგილის აანფორმის;

ბ)

ფიზიკური ან იურიდიული პირის განსაჩუქრის მიღება, რომელთანაც ქვესამსახურებრივი ურთიერთობა ან პირისგან, რომლის დაკავშირებულობასაც სწავლო პროცესთან;

გ)

სამეწარმეობას ან ანთის საქმიანობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით აკადემიის ტერიტორიაზე ან შენობაში;

დ)

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელისშემშლად (ლექციაზე და დერეფანში ხმაური, ლექციაზე მობილური ტელეფონის არგებლობა და სხვა);

ე) თამბაქოს მოწვევა აკადემიის შენობაში;

ვ)

ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების აკადემიის შენობაში შემოტანა, გავრცელება და/ან მოხმარება;

ზ)

აკადემიის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული და გასართობი თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;

- თ) აკადემიის ტერიტორიისდანაგვიანება;
- ი) ბილწსიტყვაობა;
- კ) ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა აკადემიის შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ლ) მოქმედი კანონმდებლობის სისეთისახის დარღვევა, რაც მიმართულია აკადემიის დისკრედიტაციისკენ;
- მ) აკადემიურის იყალბე, კერძოდ: სხვა პირის ნაშრომის, როგორც საკუთარის წარმოჩენა; ხელის შემშლასწავლისა და კვლევის პროცესში აჭირორესურსების დამალვით, მოპარვით, გაფუჭებით ან განადგურებით; სხვა პირისთვის აკადემიურის იყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა; კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება; პლაგიატი (სხვისი საავტორო დამოძიჯნავეუფლებითი ან ანაღნაწილობრივ მითვისება, რაც ნიშნავს სხვისი ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად აცემქმნილი ნაწარმოების ან გამომგონების წყაროზე დაავტორის მიუთითებლად გამოყენებას საკუთარ სახელით; თვითპლაგიატი (საკუთარ ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად); მონაცემები ს, ინფორმაციის ან ციტირების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია).

აკადემიის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის კოდექსი

1. აკადემიის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის არაეთიკურ ქცევად (ეთიკის ნორმების დარღვევად) ჩაითვლება:
 - ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელისშემშლა (ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა აუდიტორიაში, სადაც მიმდინარეობს ლექცია და სხვა);
 - ბ) არაკოლეგიალური დამოკიდებულება, რაც გულისხმობს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობის ხელყოფა;
 - გ) აკადემიური პერსონალის მიმართუპატივცემულო დამოკიდებულება; დამცირება ან/და სხვა ფორმით შეურაცხყოფა;
 - დ) აკადემიის სტუდენტის მიმართუპატივცემულო დამოკიდებულება; სტუდენტის დამცირება ან სხვა ფორმით შეურაცხყოფა;
 - ე) თამბაქოს მოწვევა აკადემიის შენობაში;
 - ვ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების აკადემიის შენობაში შემოტანა, გავრცელება და/ან მოხმარება;
 - ზ) აკადემიის ტერიტორიაზე (შენობაში) აზარტული და გასართობი თამაშების მოწყობა და მათში მონაწილეობა;
- თ) აკადემიის ტერიტორიისდანაგვიანება;
- ი) ბილწსიტყვაობა;
- კ) ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა აკადემიის შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ლ) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, რამაც გამოიწვია აკადემიის დისკრედიტაცია.

აკადემიის

ეთიკისკოდექსითგანსაზღვრულიქვევისსავალდებულონორმებისდარღვევისგამოდისციპლინურიგადაცდომისპირობებიდადისციპლინურიწარმოებისპროცედურები

1. აკადემიის

ეთიკისკოდექსითგანსაზღვრულიქვევისსავალდებულონორმებისსავალდებულოაშესასრულებლად. ნორმისდარღვევაწარმოადგენსდისციპლინურგადაცდომას;

2. ეთიკისკოდექსისნორმებისდარღვევისგამოშეიძლებაგამოყენებულიიქნესდისციპლინურიპასუხისმგებლობისნორმა(ზომა);

3. დისციპლინურიპასუხისმგებლობისნორმა (ზომა)

უნდაშეესაბამებოდესეთიკისკოდექსისდამრღვევიპირისსტატუსს, დარღვევისხარისხსადასიმძიმეს;

4. აკადემიისეთიკისკოდექსისდარღვევისფაქტზეხორციელდებადისციპლინურისაქმისწარმოება ;

5. აკადემიაშიდისციპლინურსაქმისწარმოებასახორციელებსკადრებისა და კანცელარიის სამსახური აკადემიის დირექტორთან შეთანხმებით.

მუხლი 33. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;

2. აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეული ფუნქციონირებს წინამდებარე დებულების და სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და წესების (არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე;

3. წინამდებარედებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანებით;

4. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.